



დანართი: როგორი პირები და კომპანიები ფიგურირებენ საქმეში?



ზაზა ოქუაშვილი

ზაზა ოქუაშვილი 2016 წლიდან აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრია პარტია „პატრიოტთა ალიანსიდან,“ ხოლო 1999-2004 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. ოქუაშვილი “ომეგა ჯგუფის” დამფუძნებელია, რომელიც რამდენიმე კომპანიას აერთიანებს თამბაქოს წარმოებისა და დისტრიბუციის, მედიისა და სხვა სფეროებში. Panama Papers-ის მიხედვით, ზაზა ოქუაშვილი არის წილის მფლობელი ოფშორულ კომპანიებში Finley Trading (წილის მფლობელი), DAGMAR FINANCE GROUP INC. (მფლობელი), Velsan Trading Corp. (წილის მფლობელი).



ვანო ჩხარტიშვილი

ვანო ჩხარტიშვილი საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი ბიზნესმენია, რომელიც Panama Papers-ის სიაშიც ფიგურირებს, როგორც GROBER COMMERCIAL CORP.; CLAREN VENTURES LTD.-ის წილის მფლობელი და SILVERADO PROPERTIES INC.-ის მფლობელი. ჩხარტიშვილი საქართველოს ეკონომიკის მინისტრი (2001-2004 წწ) და შემდეგ მე-6 მონვევის (2004-2008 წწ) პარლამენტის წევრიც იყო.

სავარაუდოდ, ვანო ჩხარტიშვილთან არის ასოცირებული სს „თბილისის თამბაქო.“ მასვე უკავშირდება ხანგრძლივი ბიზნესდავა, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან.



ირაკლი ჩხაბინიშვილი

ირაკლი ჩხაბინიშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი 1999-2003 წლებში, პრემიერის ადმინისტრაციის უფროსი 2005 წელს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში 2006-2008 წლებში. გავრცელებული აუდიოჩანაწერის მიხედვით, ამჟამად მისი საქმიანობა დაკავშირებულია სს „თბილისის თამბაქოსთან.“



სს „თბილისის თამბაქო“

სააქციო საზოგადოება „თბილისის თამბაქო“, 1998 წლიდან წარმოადგენს თამბაქოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ადგილობრივ მწარმოებელს საქართველოს ბაზარზე. კომპანიის ცნობილი ბრენდი „პირველი“ შედის ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დიდი რაოდენობით გაყიდვად სიგარეტის ბრენდთა სამეულში. სს „თბილისის თამბაქო“ სავარაუდოდ ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილთან ასოცირებული კომპანიაა, რომლის სახელსაც არაერთი გახმაურებული სასამართლო დავა უკავშირდება.



„ომეგა ჯგუფი“

ომეგა ჯგუფი აერთიანებს რამდენიმე კომპანიას, მათ შორის, შპს “ოჯი”, შპს “ომეგა მოტორსი”, შპს “ილიონი” (ომეგა თევი), შპს “იბერია - TV”, შპს “ომეგა-2”, შპს ბენმონტი-BENMONT და თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ბიზნესებთან როგორებიცაა: Philip Morris, BMW, MINI, IVECO, Chevrolet და Heidelberg -ი.



ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ამჟამად პარტია “ქართული ოცნების” თავმჯდომარე. 17 სექტემბერს გავრცელებული ჩანაწერის მონაწილეების მიხედვით, „ომეგა ჯგუფისა“ და „თბილისის თამბაქოს“ მიერ საერთო სადისტრიბუციო კომპანიის შექმნაზე ივანიშვილი ინფორმირებული იყო.



უჩა მამაყაშვილი

უჩა მამაყაშვილი ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი და მის მიერ დაფუძნებული თანაინვესტირების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელია., ის აქტიურად ფიგურირებს ბოლო დროს გავრცელებულ ჩანაწერებში. ირაკლი ჩხაბინიშვილი უჩა მამაყაშვილს ხელისუფლებასთან ურთიერთობის “ვერტიკალად” მოხსენიებს. საუბრის ჩანაწერში ირაკლი ჩხაბინიშვილი ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილს უჩა მამაყაშვილი წარმოადგენს, რომელიც მათ ბიზნესს “მიხედავს” და პრობლემა არ შეექმნებათ.



რიქსიდი ჟუსიშვილი

ყოფილი ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი. ეკონომიკისა და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროებში პროკურატურის მიერ დიდი ოდენობით თანხის გფლანგვის საკითხზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში პროკურატურაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა. გავრცელებული ჩანაწერების თანახმად, ქუმსიშივილი უჩა მამაყაშვილთან ერთად მონაწილეობდა თამბაქოს ბიზნესში მონაწილე ქართული კომპანიების “პრობლემების” მოგვარებაში.